ოქმი:**ო31. 3124324001**
თარიღი:**19/11/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №11

ქ. ლანჩხუთი

15. 11. 2024 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) მოვალეობის შემსრულებელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა დამატებითი საკითხები და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.\

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 26 ნოემბერი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 05 აგვისტოს N1101 განკარგულებით შესული ცვლილებებით, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ „საქართველოს 2024 წლის გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამეყო 5000000 ლარი, რომელიც მიიმართება: შიდა გზების რეაბილიტაციაზე 2918522 ლარი, სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე 707871 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე 647830 ლარი, ნაპირსამაგრების რეაბილიტაციაზე 725777 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2402 განკარგულებით მიმდინარე წლის 03 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის N1403 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად ქ.ლანჩხუთში ბაგრატიონის, ბესიკის, გოგიჩაიშვილის, ებრალიძის, თამარ მეფის (პირველი ეტაპი) რ. ებრალიძის, საფო მგელაძის და ხოფერიას ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება გაიზარდა 144424 ლარით და განისაზღვრა 3650241 ლარი; აქედან, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 3467728 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტით 182513 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.
2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებულია 30613415 ლარი. მათ შორის- შემოსავლების სახით, 23333629 ლარი. დღგ-მ შეადგინა 9697200 ლარი, ხოლო სხვა შემოსავლები განისაზღვრა 3646171 ლარით. საგადასახადო შემოსავალი განისაზღვრა 10547822 ლარით. გრანტებმა შეადგინა 9137056 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 342931 ლარი.

ცხრა თვის განმავლობაში ხარჯებმა შეადგინა 25554307 ლარი. მათ შორის- შრომის ანაზღაურებაზე-5591300 ლარი; საქონელი და მომსახურებაზე მიმართულია 6335100 ლარი.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 6939,4 ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 2445,3 ათას ლარს , საიდანაც 2082,8 ათასი ლარი მიიმართა 2024 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2024წლის ბიუჯეტში 2306,6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 25594.4 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის (32462.9 ათ ლარი) 78,8 %-ია.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

1.მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები -

2024 წლის III კვარტალში მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5540,4 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (7075,4. ათ ლარი) 78.3 % პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები : 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა -952,3. ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 3818 ათ ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი : მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა -35.4 , ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -734,8 ათ ლარი.

სარეზერვო ფონდიდან 2024 წლის III კვარტალში გახარჯულია მერის ბრძანების საფუძველზე 31200 ლარი.

2.ინფრასტრუქტურის განვითარება -

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 10000.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 81.4 პროცენტია.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა -

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1780.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.3 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1574.4 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარებაზე დაიხარჯა 192.6 ათასი . უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებზე გაიხარჯა 13.8 ათ ლარი.

4. განათლება -

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 2024 წლის III კვარტალში გაიხარჯა 3889.9

ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 83.5 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2726.6 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 1130.8 ათასი ლარი რაც გეგმის 86.7 %-ია.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი -

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 3539.1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5405.4 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 65.5 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1848.3 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 1676.9 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე - 13.9 ათასი ლარი.

6) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 907,0 ათასი ლარით 78,6 %-ით ,მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 200 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 707 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში უზრუნველყოს თითოეული ბავშვის მრავალმხრივი განვითარება თამაშზე დაფუძნებული და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით,სკოლამდელ დაწესებულებაში მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა პერსონალის კომპეტენციების ამაღლებით და ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2024 წლისათვის 16 ტერიტორიულ ერთეულში ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, რომელშიც ირიცხება 800 აღსაზრდელი. აშენდა 5 ახალი საბავშვო ბაღი (ნიგვზიანის, ნინოშვილის, აკეთის, გულიანისა და ღრმაღელის) რეაბილიტაცია უკეთდება ჩიბათის, ეწრის, ჯურუყვეთისა და შრომისუბნის ბაღებს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის ცხრა თვის გეგმა შეადგენს 3189913 (სამიმილიონ ასოთხმოცდაცხრაათას ცხრაასცამეტი ლარს, საიდანაც გახარჯულია 2726552 (ორიმილიონ შვიდასოცდაექვსიათას ხუთასორმოცდათორმეტი) ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“ არის კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზანი და ამოცანებია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; კულტურული ღონისძიებათა ორგანიზება და გამართვა, თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 1102350 ლარს, საიდანაც გახარჯულია 919273 ლარი.

2024 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით ირიცხებოდა - 6248 ლარი.

2024 წელს საკუთარი შემოსავლების 9 თვის გეგმა შეადგენს - 25000 ლარს, შემოსულია -12163 ლარი. აქედან გახარჯულია -14376,5 ლარი.

ანგარიშზე ნაშთის სახით 2024 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დარჩა - 4035,26 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ახორციელებს

მოზარდების ჩართულობას ფეხბურთში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და მუნიციპალიტეტის წარმოჩენას ფეხბურთში ქვეყნის მასშტაბით. სკოლა შეუფერხებლად და უფასოდ იღებს ნებისმიერ მსურველ მოზარდს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც უტარდებათ რეგულარული ვარჯიშები.

დღეის მდგომარეობით საფეხბურთო სკოლას ჰყავს 9 ასაკობრივი გუნდი ვაჟებში და ერთი გოგონათა გუნდი, სულ 220 მოზარდი. სკოლაში დასაქმებულია 44 ადამიანი, აქედან უშუალოდ სპორტსმენებთან დასაქმებულია 22 მწვრთნელი, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი 22.

ქვეპროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 390080 ლარს, საიდანაც გახარჯულია 344205 ლარი.

საკუთარი სახსრების ცხრა თვის გეგმა შეადგენს 50255 ლარს, საიდანაც გახარჯულია_ 43855 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება არის შემოქმედებითი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში შემავალი სკოლების მოსწავლეებისათვის ეროვნული, კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და შეყვარება, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ფასიანი საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, სხვადასხვა გამოფენებში როგორც საქართველოში, ისევე საზღვარგარეთ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო, სუფსის სამუსიკო და ლანჩხუთის ვ. ბარამიძის სახელობის სამხატვრო სკოლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალურ ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში გეგმა შეადგენს 273500 ლარს, საიდანაც გახარჯულია 256577 ლარი.

2024 წლის 1 იანვრისათვის ანგარიშზე საკუთარი შემოსავლებიდან ნაშთის სახით ირიცხებოდა - 8380 ლარი.

2024 წელს მშობელთა შემონატანის 6 თვის გეგმა შეადგენს - 21330 ლარს, შემოსულია -17644 ლარი. აქედან გახარჯულია - 22518 ლარი.

ანგარიშზე ნაშთის სახით 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დარჩა - 3505.75 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს 18 წლამდე მოზარდების ფსიქოლოგიური, სოციალურ ემოციური შესაძლებლობების განვითარებას, მოსწავლის ფიზიკური აქტივობის განვითარებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სექციების მუშაობა სპორტის 10 სახეობის მიმართულებით: ქართულიჭიდაობა, ბ/რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, კარატე, რაგბი, ჭადრაკი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა და ტანვარჯიში, ასევე ფუნქციონირებს პარასპორტული სექცია, სადაც გაერთიანებული არიან შშმ ბავშვები. ქვეპროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 560 000 ლარს, საიდანაც გახარჯულია 503570 ლარი.

საკუთარი სახსრების ანგარიშზე წლის დასაწყისისათვის ნაშთი იყო 159 ლარი. ხოლო 9 თვის მანძილზე შემოსავალმა შეადგინა 10917 ლარი, ხოლო გახარჯულია 6709 ლარი. 1 ოქტომბრისათვის ნაშთი იყო 4367 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მოსახლეობაში გადამდები და არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეების და რისკების თავიდან აცილება.

პროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 247450 ლარს, გახარჯულია 199983 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას. დასუფთავების ღონისძიებები ხორციელდება როგორც ქალაქ ლანჩხუთის ქუჩებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში.

ქვეპროგრამის ფარგლებში გეგმა შეადგენს 1658500 ლარს, საიდანაც გახარჯულია 1574379 ლარი.

საკუთარი სახსრების გეგმა შეადგენს - 5500 ლარს, საიდანაც გახარჯულია_ 5420 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართულ ფუნქციონირებას და მის პერიოდულ შეკეთებას. ცხრა თვის გეგმა შეადგენს 223000 ლარს, საიდანაც გახარჯულია 164279 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) ახორციელებს 5600 კომლის წყალმომარაგებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 169125 ლარს, საიდანაც გახარჯულია 105130 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გადმოეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეძენილი 5 ავტობუსი მარკა ISUZU NOVOCITI BUS, რომლებიც იმოძრავებს ლანჩხუთის სოფლების მიმართულებით: 2 ერთეული ეწერი-ქვიანი, 1 ერთეული ლანჩხუთი-აცანა- მამათი, 1 ერთეული ლანჩხუთი-ჩოჩხათი, 1 ერთეული ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა.

მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლებთან დამაკავშირებელი კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება ლანჩხუთი-აკეთი, ლანჩხუთი-ჯურუყვეთი-ნინოშვილი, ლანჩხუთი-სუფსა-ჩოჩხათი, ლანჩხუთი-არჩეული-მოედნის მიმართულებით.

5 ავტობუსის მგზავრთა გადაადგილების თანხას და სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება 20 საშტატო ერთეულს სახელფასო ფონდის დაფინანსებისთვის.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქებში ჩატარდა უმეთვალყურეოდ დარჩენილი მიუსაფარი ძაღლების მონიტორინგი. დაჭერილი იქნა 82 სული ძაღლი, რომლებიც არიან განსაკუთრებით აგრესიულები ადამიანების მიმართ და მოხდა მათი თავშესაფარში დროებით გადაყვანა და კვება.

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდისთვის გეგმა შეადგენს - 15000 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 13776 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვეში შემოსულობები მობილიზებულია 4632727 ლარი, მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით) 1458245 ლარი. აქედან, დამატებითი ღირებულების გადასახადი - 1134318 ლარი. სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 298405 ლარი; მათ შორის, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 230632 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 3174482 ლარი; მათ შორის - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 858658 ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 4844104 ლარის საკასო ხარჯი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 607780 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 897729 ლარი. მათ შორის, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე - 281055 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 3064926 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და

სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას, მერიის აუქციონატორის მიერ, 27.06.52.438 და 27.06.53.309 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული პრივატიზებული უძრავი ქონება.

ასევე მიზანშეწონილია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 6 ნოემბრის N007694324 და N007693624 დასკვნებით შეფასებული - (ს/კ 27.15.47.696) და (ს/კ 27.15.41.394) საკადასტრო კოდებზე არსებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, შემდგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 26377,3 ათას ლარს შეადგენს.

2025 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13942.0 ათასი ლარით;

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 8.7 %-ით (1117,3 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1600,0 ათას ლარს;

2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 100 ათასი ლარით არის გაზრდილი, რაც გამოწვეულია საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით.

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 6450.8 ათასი ლარით, მათ შორის: 2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 5302.3 ათ ლარით შემცირდა.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 640,0 ათასი ლარის ოდენობით. 2024 წლის გეგმიური მაჩვენებელი შენარჩუნებულია

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 72,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული შემოსავლები 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 3472.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

2024 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან) 200,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 120,0 ათასი ლარს. ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 58,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 25353.0 ათას ლარს (2024 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 518.3 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 4390.3 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 641.3 ათასი ლარი;

წყლის სისტემების განვითარება -259.2 ათასი ლარი;
გარე განათება - 961.6 ათასი ლარი;
კეთილმოწყობის ღონისძიებები-242,0 ათასი ლარი;
მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება - 486,3 ათ ლარი
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 650,0 ათასი ლარი:
ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2665,0 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2343,0 ათასი ლარი
მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 302,0 ათასი ლარი
უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;
განათლება - 5086,3 ათასი ლარი, მათ შორის:
სკოლამდელი განათლება - 5027,3 ათასი ლარი;
განათლების ხელშეწყობა - 59,0 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5809,7 ათასი ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 3524,6 ათასი ლარი;
კულტურის განვითარების ხელშეწყობა -2253,1 ათასი ლარი;
ახალგაზრდობის მხარდაჭერა -32,0 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1224,6 ათასი ლარი, მათ შორის:

სოციალური პროგრამები - 1224,6 ათასი ლარი;

მმართველობა - 6177,1 ათასი ლარი, მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1530,3 ათასი ლარი;
მერია - 4178,9 ათასი ლარი;
სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი;
სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 68,1 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -10 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 100,0 ათასი ლარი; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 2 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაფინანსება განსაზღვრულია 6665.3 ათასი ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6325.1 ათასი ლარი;
ეკონომიკური საქმიანობა - 5494.6 ათასი ლარი;
გარემოს დაცვა - 2645 ათასი ლარი;
საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3397.3 ათასი ლარი;
დასვენება, კულტურა და რელიგია-7549.4 ათასი ლარი;
განათლება -5324.2 ათასი ლარი;
სოციალური დაცვა -1224.6 ათასი ლარი;

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი